სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

21/03/2025

MES 8 25 0000314422

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიო და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ აუდიომონიტორინგის განხორციელების წესი (დანართი 1).

2. დამტკიცდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი (დანართი 2).

3. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით